ვირსალაძის № 10 -ში მდებარე შენობის რეკონსტრუქცია
(შშმპ-ვის პანდუსის და სავალი ნაწილის მოწყობა)

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

შემსრულებელი - დ.კახიძე

ს ა რ ჩ ე ვ ი

გვერდი	დასახელება
1	სამშენებლო მოედნისა და ობიექტის დახასიათება. მშენებლიბის პირობები. 1-1.14
2	მშენებლობის ხანგრძლივობის დადგენა. 2-2.3
3	მშენებლობის განხორციელების ტექნოლოგიური ნორმალი 3-3.2 მშენებლობის საინჟინრო მომზადება და მშენებლობის წარმართვის ცალკეული ეტაპები 4-4.9
4	მშენებლობის წარმოების წესები და მეთოდები 5-5.3
5	მითითებები მიწისზედა სამუშაოების წარმოებაზე 6-6.8
6	რეკომენდირებული სამშენებლო მანქანა-დანადგარები, მექანიზმები და ინსტრუმენტები 7-7.2
7	მშენებლობაზე შრომისა და ელექტროუსაფრთხოების წესების დაცვა 8-8.11
8	ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები 9-9.5, მოპის შედგენისთვის ნორმატიული ბაზა 10-10.5, ვირსალაძის ქ №10-ში მდებარე შენობის შესასვლელთან შშმპ-თვის მორგებული პანდუსის, ბაქნის და კიბეების მოწყობის შენაკრები კალენდარული გეგმა-ბრაფიკი 11-11.3

1. სამშენებლო მოედნისა და ობიექტის დახასიათება

1.1. ობიექტის მშენებლობის ქვეშ გათვალისწინებული ტერიტორია განთავსებულია ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, ისტორიული ნაწილის უბანში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მიმდებარედ, კერძოდ ბროსეს ქუჩისა და ვირსალაძის (ყოფილი ინჭინრის) ქუჩების და აბრეთვე მარჯვენა სანაპიროს გადაკვეთის კუთხეში. ტერიტორია ერთ-ერთ საკვანძო ადგილს წარმოადგენს ქალაქისათვის.
ამ ეტაპზე საპროექტო ტერიტორიაზე შეთანხმებული პროექტის მიხედვით დასრულებულია სამშენებლო სამუშაოების წარმოება, შენობა არ არის მიღებული ექსპლოატაციაში, იმისათვის რომ ეს მოხდეს საჭიროა მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების მიხედვით დაცული პანდუსის და ბაქანის მოწყობა, ასევე საჭიროა ერთ-ერთ შემავალ კარებს შეეცვალოს გაღების მიმართულება რათა პანდუსი მიუდგეს მარცხნიდან, კარები უნდა იღებოდეს მარცხნიდან - მარჯვნივ. დარჩენილ ასპექტებში შენობა არ საჭიროებს არანაირ ცვლილებას, რამეთუ სამუშაოების 95 % დასრულებულია.

1.2 უბანი ხასიათდება შემდეგი კლიმატურ-სეისმური ფაქტორებით:
– ქარი (ნორმატიული) - 86.7კგ/მ2
– თოვლი (ნორმატიული) – ქ=51.0კგ/მ2
სეისმურობა-8ბალი, ზამთრის საანგარიშო ტემპერატურა- მინუს 80ჩ, ბრუნტის ჩაყინვის სიღრმე (ნორმატიული):- ჰ=0.0მ.

1.3 წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციით აღნიშნულ ადგილზე გათვალისწინებულია არსებული შენობის წინ, ქანობის მძრონე სავალ გზაზე (ბილიკზე) შშმპ-თვის პანდუსის მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების მიხედვით დამუშავებული პანდუსის და სწორი (ქანობის არ მძრონე თუ არ ჩავთვლით ნალექის გადარეცხვისთვის საჭირო მცირე ქანობს) ბაქნის მოწყობას. აბრეთვე ბაქანს, შენობის მარცხენა შესასვლელის გასწვრივ, საავტომობილო სავალი გზის მხრიდან, მიუდგება ორ საფეხურიანი კიბე. ის აბრეთვე დაიკავებს ფეხითმოსიარულეთათვის განკუთვნილი სავალი გზის (ბილიკის) 82 სმ სიგანის ნაწილს, პანდუსის გვერდით, რათა სავალი ნაწილის გამოყენება მოსახერხებელი იყოს რობორც ნებისმიერი გამვლელისთვის, ასევე შშმპ-ის.

შენობის გარეგნული ნაწილი სრულფასოვნადაა შენარჩუნებული და არც იგეგმება მისი რაიმე სახის ცვლილება, თუ არ ჩავთვლით 1-2 ღერძებს შორის არსებულ მარცხენა შესასვლელის კარის ღიობის გაღების მიმართულების ცვლილებას, რათა ის იღებოდეს მარცხნიდან მარჯვნივ, მარცხნიდან შემავალი შშმპ-ის განკუთვნილი პანდუსის კომფორტულად განსათავსებლად.
პროექტით ასევე გათვალისწინებულია შენობის ძირითადი კონტურის (გეგმაში) და მისი შიდა ეზოიანი გეგმარებითი სტრუქტურის შენარჩუნება. რეკონსტრუქციის შედეგად შენობაში გათვალისწინებულია განთავსდეს სასტუმრო თანამედროვე სტანდარტების დამაკმაყოფილებელი საინჭინრო ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა. რეკონსტრუქციის შედეგად უნდა მივიღოთ საღი და კონსტრუქციულად მდგრადი შენობა, რომელიც მორგებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის კომფორტული მისაწვდომობის სივრცეს და სავალ ნაწილს, აბრეთვე ობიექტი შეინარჩუნებს ისტორიული ნაგებობის მხატვრულ-ესთეტიკურ ასეულობას და ელემენტებს და ორგანულად ჩაეწერება არსებულ სივრცით-გეგმარებით გარემოში.

გარე კედლების მოწყობა დაშენებულ სართულებზე უკვე შესრულებულია ალუმინის საფასადე სისტემით. შიდა კედლები (ტიხრები) მოწყობილია ბეტონის სატიხრე ბლოკებითა და თაბაშირ-მუყაოს ფილებისაგან. პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია შენობის სრული საინჭინრო აღჭურვა გათბობა – კონდიცირებისა და ვენტილაციის ცენტრალური სისტემებით, ასევე წყალსადენ-კანალიზაციისა და ელექტრომომარაგება სუსტი დენების ჭსელებით.

შენობის პირველი სართულის ნიშნული ± 0.00 შეესაბამება აბსოლუტურ +398.2 ნიშნულს.

1.6. პანდუსის, შესაბამისად სავალი ბაქნის თავი მიეკუთვნება ± 0.00 ნიშნულს, პანდუსის პროპორციები შერჩეულია მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების მიხედვით, კერძოდ სხვაობა პანდუსის ძირსა და თავს შორის შეადგენს 25 სმ-ს, ზემოთხსენებული სტანდარტების მიხედვით პროპორციად არჩეულია 1:8 რის მიხედვითაც პანდუსის სიგრძე შეადგენს 2 მეტრს (25×8= 200 სმ). პანდუსის სიგანე შეადგენს 1 მეტრს, რაც საკმარისია მასზე თავისუფალი გადაადგილებისათვის, ბაქანი რომელზეც ადის პანდუსი უფრო დიდი სიგანისაა და შეადგენს 1.6 მეტრს- აქედან 1,2 მეტრი გათვლილია შშმპ-თვის საჭირო მობრუნების დიაპაზონისთვის (მობრუნების გაბარიტები - 1.6×1.2 მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების მიხედვით).

1.7 წარმოდგენილი ტოპო მასალების მიხედვით, აბრეთვე სამშენებლო მოედნის ვიზუალური შესწავლის საფუძველზე სამშენებლო ფრონტი შეზღუდულია. სამუშაოთა განხორციელების სირთულის მიხედვით ობიექტი მიეკუთვნება საშუალო კატეგორიას.

1.8. საინჟინრო - გეოლოგიური დასკვნით: საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის კატეგორიის მიხედვით (სნ და წ. 1.02.07-87) საკვლევი უბანი შეიძლება მივაკუთვნოთ II საშუალო სირთულის კატეგორიას.

1.9 სამუშაოს გაშლისა და მშენებლობის წარმოების თვალსაზრისით სამშენებლო ფრონტი შეზღუდული არ არის. მისი განხორციელების თვალსაზრისით საპროექტო შენობა საშუალო სირთულისაა და გულისხმობს სართულიანობის, გეომეტრიული ფორმებისა და გამოსაყენებელი სამშენებლო მასალა-ნაკეთობებით ტრადიციული სამშენებლო პროცესების შესრულებასა და განხორციელებას.

1.10 მშენებლობის მომარაგება მასალებითა და ნაკეთობებით ორიენტირებულია ბაზარზე. ამავე დროს სამშენებლო ორგანიზაციებს გააჩნია მძლავრი საწარმოო ბაზები.

1.13. სამუშაოთა მწარმოებელმა განუხრელად უნდა იხელმძღვანელოს დამტკიცებული საპროექტო დოკუმენტაციით. კონსტრუქციულ ან სხვა საპროექტო გადაწყვეტილებებში ცვლილებების თვითნებური შეტანა ავტორებთან შეთანხმებისა და ნახაზების კორექტირების გარეშე დაუშვებელია, რაც უნდა მოხდეს დადგენილი წესით შესაბამისი ხელმოწერებით ავტორებისა და პროექტის მთავარი არქიტექტორის მხრიდან.

1.14. მშენებლობის განხორციელებასთან და წარმართვასთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხები, გაანგარიშებები და რეკომენდაციები ჩამოყალიბებული და განმარტებულია მოპ-ის ცალკეულ ნახაზებზე შესაბამის თავებში.

2. მშენებლობის ხანგრძლივობის დადგენა

2.1. მშენებლობის ხანგრძლივობის ვადებისა და მისი განხორციელების ცალკეული პერიოდების დასადგენად ხელმძღვანელობენ სნ და წ 1.04.03-83 „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები და მარაგნაკეთი“, მაგრამ აღნიშნული ნორმები გათვლილია ანაკრები კონსტრუქციებით მშენებლობაზე და არ არის გათვლილი მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციებით მშენებლობაზე, რისგანაც იქნება დამზადებული პანდუსი, კიბეები და ბაქანი რომელზეც ისინი ადიან, ასევე არ არის გათვალისწინებული სეისმიკის კოეფიციენტი, ამიტომ ნორმით გათვალისწინებული ხანგრძლივობა გაიზრდება.

ზემოთქმული ნორმების გათვალისწინებით, ასევე რეალურ გათვლებზე დაყრდნობით და დამკვეთთან შეთანხმებით დადგინდა მშენებლობის ხანგრძლივობა 2 (ორი) თვის პერიოდით.

2.2 ობიექტის მშენებლობის დასრულება გეგმიურ ვადებში სავსებით შესაძლებელია უწყვეტი ფინანსირების პირობებში, რასაც ხელი უნდა შეუწყოს მშენებლობის რაიონის რბილმა და ზომიერმა კლიმატურმა პირობებმაც, აბრეთვე სამშენებლო ორგანიზაციის მძლავრმა საწარმოო ბაზამ.

2.3 აღნიშნულის მიხედვით შედგა მშენებლობის განხორციელების შენაკრები კალენდარული გეგმა. (იხ. ნახ. მოპ-2)

3. მშენებლობის განხორციელების ტექნოლოგიური ნორმალი

3.1. მშენებლობის კალენდარული გეგმით გათვალისწინებული ფინანსური უზრუნველყოფისა და შესაძლებლობების საფუძველზე უნდა მოხდეს სამუშაოთა თანამიმდევრობის განსაზღვრა.

3.2. მშენებლობის განხორციელების გეგმიური ხანგრძლივობაა 2 (ორი) თვე.

4. მშენებლობის საინჟინრო მომზადება და მშენებლობის წარმართვის ცალკეული ეტაპები

4.1. ჩვენს მიერ შედგენილი მოპ-ი ითვალისწინებს სნ და 3.01-0I-85 „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია" მოთხოვნილებებს მშენებლობაზე ხანძარსაწინააღმდეგო და მშენებლობის უსაფრთხო წარმოების ღონისძიებათა დაცვით.

4.2. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის დამუშავებას საფუძვლად დაედო შემდეგი მონაცემები:
- დავალება პროექტირებაზე;
- პროექტით მიღებული კონსტრუქციული გადაწყვეტები;
- მშენებლობის რაიონის სიტუაციური გეგმა;
- გეოდეზური გებმები და პროფილები;
- საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევების მონაცემები;
- ობიექტის ნატურაში დათვალიერება.

4.3. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი შესრულებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესებისა და სახელმწიფო სტანდარტების (მათ შორის ხანძარფეთქებადი უსაფრთხოების) შესაბამისობით.

4.4. მიიღებს თუ არა დამკვეთისაგან დამტკიცებულ საპროექტო დოკუმენტაციას, სამშენებლო ორგანიზაცია საჭიროების შემთხვევაში ამუშავებს სამუშაოთა წარმოების პროექტს. ამ პროექტის შედგენა უნდა ხდებოდეს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტში მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისობით.

4.5. სამუშაოთა დაწყება დაიშვება საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე ქალაქის მერიის სამსახურიდან სათანადო ნებართვის აღების შემდეგ.
უწინ გაცემული ნებართვის შესაბამისად სამშენებლო მოედანი შემოღობილია დროებითი ხის ღობით, ღობეში მოქცეულია შენობის შესასვლელიც სადაც უნდა განხორციელდეს სამშენებლო სამუშაოები მარცხენა კარის გაღების მიმართულების ცვლილების, შშმპ-თვის პანდუსის, ბაქნის და კიბეების მოწყობის სახით.

4.6. სამშენებლო წარმოების უწყვეტობისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მშენებლობის წარმართვა ცხრილში ჩამონათვალი მანძანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარებით. ბეტონის მიწოდებისთვის უნდა გამოვიყენოთ მიქსერები და ბეტონდამჭიხნი. სამუშაოები უნდა შესრულდეს სნ და წ III-15-80-ით გათვალისწინებული მოთხოვნების სრული დაცვით.

4.7. გეოდეზურ-დაკვალვითი სამუშაოები სრულდება სნ და წ 3.01-01-85 „გეოდეზური სამუშაოები მშენებლობაში" მოთხოვნათა გათვალისწინებით. ტერიტორია, რომელზეც უნდა შესრულდეს ზემოთხსენებული სამუშაოები ცდება წითელ ხაზებს, შესაბამისად აქ სამუშაოების წარმართვის ნებართვა უნდა გაიცეს ქალაქის მთავარი არქიტექტურის სამსახურის მიერ.

4.8. მშენებლობის ცალკეულ ეტაპზე და მათ წარმართვაზე უფრო დეტალურად იხილეთ მომდევნო ნახაზებზე.

4.9. მშენებლობა ხორციელდება საავტორო და ტექნიკური ზედამხედველობის ქვეშ. დახურული სამუშაოების მიღება ავტორების კონტროლის ქვეშ დადგენილი წესით აუცილებელია.

5. მშენებლობის წარმოების წესები და მეთოდები

5.1. მშენებლობის ორგანიზაცია და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმართვა უნდა მოხდეს მომქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისობით. 1987 წ. მშენებლობის სამინისტრომ ქართულ ენაზე გამოსცა „კრებული სამახსოვრო „სამშენებლო წარმოების ნორმები და წესები"- ამონაკრები მომქმედი ნორმატული დოკუმენტებიდან. მათი ნაწილი (ტირაჟიდან შემორჩენილი) ინახება სამინისტროს შპს „მშენაღდგენაში" და დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას.

5.2. ქვემოთ ჩამოთვლილია მომქმედი ნორმები და წესები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს სამშებლო ფირმამ სამშენებლო – სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების დროს;
- სნ და წ 111-17-78 „ქვის კონსტრუქციები";
- სნ და წ 111-18-79 „ლითონის კონსტრუქციები";
- სნ და წ 111-19-81 „ხის კონსტრუქციები";
- სნ და წ 111-20-74 „ბურულები, ჰიდროიზოლაცია; ორთქლიზაცია და თბოიზოლაცია";
- სნ და წ 111-21-79 „სამშენებლო კონსტრუქციების მოსაპირკეთებელი სამუშაოები";
- სნ და წ 111-3-14-78 „იატაკები";
- სნ და წ 3.04.03-85 „კოროზიისაგან დაცვა";
- სნ და წ 111-28-79 „შენობებისა და ნაგებობების სანიტარულ -ტექნიკური მოწყობა";
- სნ და წ 111-29-79 „გაზით მომარაგება, შიდა მოწყობილობა, გარე ქსელები და ნაგებობები";
- სნ და წ 111-30-79 „წყალმომარაგება, კანალიზაცია და თბომომარაგება; გარე ქსელები და ნაგებობები"; სამშენებლო და წ 111-33-79 „ელექტროსამონტაჟო სამუშაოები";
- სნ და წ 111-10-78 „ტერიტორიის კეთილმოწყობა";
- სნ და წ 111-4-80 ‘„უსაფრთხოების ტექნიკაში";
- სახანძრო უსაფრთხოების წესები სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების დროს;
- სნ და წ 1.06.05-85 „მშენებლობისადმი საპროექტო ორგანიზაციების მიერ საავტორო ზედამხედველობა";
- ინსტრუქცია „სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხის შეფასების შესახებ";
- ინსტრუქცია „მშენებლობით დამთავრებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიღება.

5.3. აბრეთვე საჭიროა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული შემდეგი კანონებით ხელმძღვანელობაც:
– გარემოს დაცვის თაობაზე, 1996 წელი;
– წყლის გამოყენების შესახებ, 1997 წელი;
– მავნე ქიმიური ელემენტები, მათი კლასიფიკაცია და უსაფრთხოება, 1998 წელი.
გარემოს დაცვის შესახებ კანონი განსაზღვრავს ჰაერის დაბინძურების, წყლის დაბინძურების, წყლის აღებისა და ჩაშვების, ნახაზების უტილიზაციის, ხმაურისა და სხვათა შესახებ საკითხებს, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულების პროცესში. ასევე კანონით წყლის შესახებ განსაზღვრულია ზედაპირული, მიწისძვეშა და სანაპირო წყლების აღება და ჩაშვების ლიცენზიებთან დაკავშირებული საკითხები. კანონი ატმოსფერული ჰაერის შესახებ ითვალისწინებს ჰაერის კონტროლსა და დაბინძურების შეზღუდვის მეთოდებს, ჰაერის ხარისხიანობის სტანდარტებს და განსაზღვრავს დასაშვებ ზღვრებს სამშენებლო საქმიანობის პირობებში. მავნე ქიმიური ელემენტების შესახებ კანონი მოიცავს მავნე ნივთიერებათა კლასიფიკაციას და მათ უსაფრთხო მოხმარების საკითხებს. მაბალითად საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა აუცილებელია სპეციალური ბუნკერებით, ხოლო სამშენებლო ნაგვისა დამოკიდებულია სამშენებლო სამუშაოების მტვერშემცველობაზე. თუ სამშენებლო ნაგავი მტვერის გაბნევის საშიშროებას მოიცავს თვითმცლელ მანქანებზე დაყრის შემდეგ მას აუცილებელად უნდა გადაეფაროს სახურავი ბრეზენტისაგან ან სხვა რაიმე სახის მყარი მასალისაგან.

6. მითითებები მიწისზედა სამუშაოთა წარმოებაზე

6.1 -0.25 ნიშნულზე უნდა მოეწყოს საქალიბე, რაც შეივსება ბალასტით, რომელიც დაიტკეპნება.

6.2. შემდეგ დაიწყება არმატურისგან დაწნული კონსტრუქციის შედგენა და მისი ჩაბეტონება. არმირება 10 მმ - იანი, ბიჯი 200 მმ - იანი. კიბეც ასვე ბეტონით ჩამოისხმება.

6.3. პანდუსი და ბაქანი მოეწყობა ერთშრიანი არმირებით - ანალოგიურად 10 მმ - იანი არმატურით და 200 მმ - იანი ბიჯით.

6.4. პანდუსი, ბაქანი და კიბეები მოპირკეთდება ქვის ფილებით.

6.5. ცალკეულ სამუშაოებზე მათი შესრულების მეთოდებისა და წესების შესახებ, აბრეთვე შრომის უსაფრთხოების წესების თაობაზე დოკუმენტები ქართულ ენაზე თავმოყრილია მშენებლობის სამინისტროს მიერ 1986 წელს გამოცემული კრებულ-სამახსოვროში „სამშენებლო წარმოების წესები და ნორმები”.

6.6. ცხადია ჩვენი მოსაზრებები სარეკომენდაციოა. მშენებლობის პროცესში დადგინდება აღნიშნულის მიზანშეწონილობა. მათი გათვალისწინებით შედგა მშენებლობის განხორციელების გენერალური გეგმა.

6.7. სამშენებლო წარმოების თვალსაზრისით შემზღუდავი პირობები არ აღინიშნება.
სამუშაოები წარმოებს საკადასტრო საზღვრების ფარგლებში მოწყობილი დროებითი
ღობის შიგნით.

6.8. სამუშაოები აუცილებელია წარიმართოს ინსტრუმენტალური კონტროლისა და საავტორო ზედამხედველობის ქვეშ შრომისა და ელექტროუსაფრთხოების წესების განუხრელი დაცვით.

7. რეკომენდებული სამშენებლო მანქანა-დანადგარები, მექანიზმები და ინსტრუმენტები

7.1. მშენებლობის ნორმების უწყვეტი რითმისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მისი აღჭურვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. მათი რეკომენდირებული ჩამონათვალი მოცემულია ცხრილში

№	დასახელება	მარკა	რაოდენობა
1	2	3	4
1	სამსხვრევი ჩაქუჩები	სხვადასხვა	2
2	თვითმცლელი სამშენებლო მასალის შემოსატანად	სხვადასხვა	2
3	სიღრმითი ვიბრატორი	C-3698	1
4	ზედაპირული ვიბრატორი	C-697	1
5	ავტობეტონამრევი მიქსერით	B-5	1
6	ცემენტის ფენის მოსაწესრიგებელი აბრეშატი	CO-89	2
7	ელექტროშესადუღებელი აპარატი	კომპ	2
8	ავტომენური შედუღების აპარატი	კომპ	2
9	პნევმატური ინსტრუმენტი: საბურღი, ხრახნდამჭერი და სხვა	კომპ	4
10	სხვადასხვა დანიშნულების ხელის მოწყობილობა	კომპ	10

7.2. რეკომენდებული მანქანა-დანადგარები და ინსტრუმენტ-მოწყობილობები შესაძლოა შეიცვალოს ანალოგიურით ან უფრო თანამედროვეთი.

8. მშენებლობაზე შრომისა და ელექტროუსაფრთხოების წესების დაცვა

მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები სამშენებლოსამონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე უნდა იყოს დაცული თანახმად „სნ და წ 111-4-80 უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში" და სხვა ნორმატიულ-საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით. მათგან ყურადღება მახვილდება შემდეგზე:

8.1. სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებებით.

8.2. ბეტონის ტუმბოს გამოყენებისას ნარევის მიწოდება და ჩასხმა ქარგილებში უნდა მოხდეს ერთ მეტრზე ნაკლები სიმაღლიდან.

8.3. ზედმეტი ბრუნტის დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე უნდა წარმოებდეს გვერდიდან ან უკანა მხრიდან.

8.4. მშენებლობაში საჭიროა სერტიფიცირებული მასალების და ნაკეთობების გამოყენება მათი ტოქსიკურობის გათვალისწინებით დაშვებულ ნორმებში.

8.5. ადვილად აალებადი სამღებრო, საიზოლაციო და სხვა მასალების, აბრეთვე მომწამლავი ნივთიერებების დღიური რაოდენობა სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ზონაში არ უნდა აღემატებოდეს დღიურ მოთხოვნილებას.

8.6. საქალიბო ქარგილები დაყენების შემდეგ მოწმდება საიმედოობაზე მათში ბეტონის ჩასხმამდე. ასევე მოწმდება ბადის საიმედოობაც და წესრიგიანობაც სამაბრების თვითბახსნა რომ არ მოხდეს.

8.7. მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური მოთხოვნილებების პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურებაც არ მოხდეს.

8.8. ელექტრო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია საქ. სტანდარტში 11.1.013-88. ელექტროკარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში, ელექტროკაბელები, ელექტროსადენები და მოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.

8.9. იკრძალება ვიბრატორის სხვა ადგილას გადატანა მისი ელექტროქსელიდან გამორთვის გარეშე. სამუშაოს შესრულების შემდეგ ვიბრატორი სუფთავდება და მშრალად იწმინდება.

8.10. სამშენებლო მოწყობილებათა ჩართვა (საწევლები, პარკეტისა და მოზაიკის საპრიალებელ-მოსახვეწი დანადგარები, ელექტრო შესადუღებელი აპარატები და სხვა) საბინაო ელექტროქსელში აკრძალულია. ელექტროქსელის სამსახურის ტექზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმებით ნებადართული სატრანსფორმატორო ქვესადგურიდან უნდა მოხდეს სამწვერიანი ელექტროკაბელის შემოყვანა დახურულ კარადაში, მრიცხველის დაყენება საიდანაც ძალოვანი და განათებელი სადენები გაიმართება მომხმარებლისაკენ.

8.11 სამუშაოთა უწყვეტობისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მშენებლობის აღჭურვა ცხრილში ჩამოთვლილი მანქანამექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარ-სამარჯვებით.

9. ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები

9.1. მშენებლობის პროცესში აუცილებელია განხორციელდეს სპეციალური ღონისძიებები მიმდებარე ტერიტორიის დამტვერიანების თავიდან ასაცილებლად.

9.2. დაუშვებელია არსებულ საკანალიზაციო ჭებში ბეტონ და ხსნარმილსადენების ჩარეცხვა ან მათი დანაბვიანება სამშენებლო ნარჩენებით.

9.3. ასევე არსებული საკანალიზაციო ქსელის პირობებში მიზანშეწონილად ვერ ჩაითვლება დროებითი ტუალეტის მოწყობა ამოსახაპ ორმოზე. მათი დროებითი ჩართვაც სასურველია საკანალიზაციო კოლექტორში.

9.4. ბარემოს დაცვის სამსახურიდან ნებართვის გარეშე მშენებლობის ზონაში იკრძალება მრავალწლიანი ხეების და ნარბავების მოჭრაბანადბურება.

9.5. ზემოთ მითითებული დებულებებიდან გამომდინარე მშენებლობა უნდა განხორციელდეს ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით მომქმედი საკანონმდებლო აქტებისა და ნორმატული დოკუმენტების შესაბამისობით.

10. მოპ-ის შედგენისათვის ნორმატული ბაზა

10.1. სნ და წ 3. 0.1 0.1-85 „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია".

10.2. სნ და წ 1. 0.4 0.3-85 „მშენებლობის ხანბრძლივობის ნორმები საცხოვრებელი სახლები მშენებლობაზე".

10.3. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის შედგენის ეტალონი სამხრეთის მთიანი რაიონებისათვის.

10.4. კრებული-სამახსოვრო „სამშენებლო წარმოების ნორმები და წესები „ამონაკრები მომქმედი სამშენებლო ნორმებიდან და წესებიდან", შრბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს ამოცემა, თბილისი, 1987 წელი ქართულ ენაზე.

10.5. სნ და წ III - 4-80 „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაზე".

11. ვირსალაძის ქ.№10-ში მდებარე შენობის შესასვლელთან შშმპ-თვის მორგებული პანდუსის, ბაქნის და კიბეების მოწყობის შენაკრები კალენდარული გეგმა-გრაფიკი

	სამუშაოს დასახელება	კვირების რაოდენობა მშენებლობის პერიოდების მიხედვით							
		1	2	3	4	5	6	7	8
1	სამშენებლო არეალის დასუფთავება								
2	არსებული სავალი გზის (ბილიკის) მომზადება								
3	ბალასტის ჩაძრა-დატკეპნა და მოსწორება								
4	არმატურის დაწნული კონსტრუქციის შექმნა								
5	ჩაბეტონება-გაშრობა								
6	ქვის ფილებით მოპირკეთება								

11.1 მშენებლობის ხანგრძლივობა გათვლილია 2 (ორი) თვის მანძილზე.

11.2 კვირა დასვენების დღედაა ჩათვლილი.

11.3 გრაფიკზე შეიძლება გავლენა იქონიოს ამინდის გაუარესებამ, რამეთუ სამუშაოები ღია ცის ქვეშ იქნება წარმართული.

შემსრულებელი - დ.კახიძე

ბაკალავრის დიპლომი
BACHELOR'S DIPLOMA

დამკვეთი: სსიპ-საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტი
დამამზადებელი: შპს ფორმა
სშს-ს რეგისტრაციის № 58 - 4519

საქართველო
Georgia
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
Legal Entity of Public Law

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Georgian Technical University

ბაკალავრის დიპლომი BD № 011574
Bachelor's Diploma

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის
2019 წლის 30 ივლისის № 83 გადაწყვეტილებით

დიმიტრი კახიძეს

მიენიჭა არქიტექტურის ბაკალავრის აკადემიური სარისხი

By the decision № 83 July 30, 2019 of the Faculty of Architecture, Urban Planning and Design

Mr. Dimitri Kakhidze

was awarded the Degree of Bachelor of Architecture

რეგისტრაციო № *Registration*	11580			დეკანი *Dean*		ნინო იმნაძე *Nino Imnadze*	
თბილისი *Tbilisi*	11 *რიცხვი/Day*	09 *თვე/Month*	2019 *წელი/Year*	რექტორი *Rector*		არჩილ ფრანგიშვილი *Archil Prangishvili*	ბ.ა. *Seal*